



1) მასწავლებელმა დაფაზე ორნიშნა რიცხვი დაწერა. მასწავლებლის მიერ დაწერილი რიცხვის ათეულების თანრიგში ციფრი 7 წერია.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენნიშნა რიცხვი დაწერა მასწავლებელმა დაფაზე?

1) ერთნიშნა

2) ორნიშნა

3) სამნიშნა



ბ) რა ციფრი წერია მასწავლებლის მიერ დაწერილი რიცხვის ათეულების თანრიგში?

1) ცხრიანი

2) რვიანი

3) შვიდიანი



გ) რა უდიდესი კენტი რიცხვი შეიძლება დაწერა მასწავლებელს დაფაზე?

1) 979

2) 79

3) 77

2) 2 ქილა მაწონი და 1 ქილა არაუანი ერთად 7 ლარი ღირს. 1 ქილა მაწონი 2 ლარი ღირს.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რა ღირს 2 ქილა მაწონი და 1 ქილა არაუანი ერთად?

1) 2 ლარი

2) 5 ლარი

3) 7 ლარი



ბ) რა ღირს 1 ქილა მაწონი?

1) 2 ლარი

2) 5 ლარი

3) 7 ლარი



გ) რა ღირს 2 ქილა მაწონი?

1) 2 ლარი

2) 4 ლარი

3) 6 ლარი



დ) რა ღირს 1 ქილა არაუანი?

1) 4 ლარი

2) 3 ლარი

3) 2 ლარი



10) ლადო, თემო და სანდრო ეტოლებიან ნინოს. ლადო უფრო მაღალია, ვიდრე ნინო, თემო უფრო დაბალია, ვიდრე ნინო. ხოლო სანდრო და ნინო ერთი სიმაღლის არიან. ვინ არის უფრო მაღალი: ლადო, თემო, თუ სანდრო?

1) ლადო

2) თემო

3) სანდრო